

## საპროცესო შეთანხმება საქართველოში

საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შედარებით ახალი ინსტიტუტია. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია სამართლებრივი ტრადიციები მის გამოყენებასთან დაკავშირებით და იმისათვის, რომ ამ ინსტიტუტის საქართველოში შემოღება დახვეწილი ფორმით მომხდარიყო, საჭირო იყო სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და იმ მიმართულებისა თუ თავისებურებების გათვალისწინება, რაც დამახასიათებელია ქართული სინამდვილისათვის.

მოხდა თუ არა ეს ასე და შედეგად აკმაყოფილებს თუ არა ქართული „საპროცესო შეთანხმება“ საერთაშორისო სტანდარტებს, ეს დღემდე დავის საგანია. ამისდა მიუხედავად, საკითხის აქტუალობა დღითიდღე იზრდება და ამას მოწმობს მისი გამოყენების კოეფიციენტის არსებითი ზრდა წინა წლებთან შედარებით.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მოსალოდნელია საპროცესო კანონმდებლობის ფუნდამენტური შეცვლა, აუცილებელია ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – „საპროცესო შეთანხმების“ შესწავლა და დეტალური ანალიზი.

„საპროცესო შეთანხმება“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოღებული იქნა 2004 წელს 13 თებერვალს. იგი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა სხვა საკანონმდებლო პროექტებთან ერთად და მათ ერთიანობაში „ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი ეწოდებოდა.

საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი წარმოების გამარტივებას იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე კორუფციული სამართალდარღვევის გამო [2].

მაშასადამე შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ–ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში იყო საპროცესო შეთანხმების შემოღება. საპროცესო შეთანხმება იყო „შეთანხმება პროკურატურისა და დაცვის მხარეს შორის იმაზე, რომ თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, მას ჩადენილი დანაშაული შეუმცირდება, ან მის მიმართ ნაკლებად მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული“. პრინციპი მარტივია: ბრალდებული ბრალის პირდაპირ აღიარებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარის თქმის სანაცვლოდ გარკვეულ კომპენსაციას იღებს, რადგან ყველა მხარეს ათავისუფლებს ხანგრძლივი და ხარჯიანი სასამართლო პროცესისგან.

ამ, ერთი შეხედვით, სიმარტივის მიუხედავად საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიციები არსებობს იურისტებს შორის, ზოგიერთი მას დადებითად აფასებს და არგუმენტად მოაქვს ის, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდის, მეორეებს –ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ ის სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას ზღუდავს და მართლმსაჯულებას ყიდვა–გაყიდვის საგნად აქცევს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება კანონის ფარგლებში ექცევა და ამერიკის სამართლებრივ სისტემაში ფართოდ არის გავრცელებული, მის დანერგვაზე არაერთმა ქვეყანამ თქვა უარი. გაერთიანებული სამეფო (ინგლისი) უფრო შორს წავიდა, აქ

მოსამართლეები, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება არაფორმალურად გამოიყენეს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს [3].

ბოლო წლებში ამ მხრივ სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა და იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით ნებადართულია, ნელ-ნელა გაიზარდა. ის მოდიფიცირებული სახით ისეთ კლასიკურ ინკვიზიციურ სისტემებშიც კი დამკვიდრდა, როგორც არის საფრანგეთისა და გერმანიის სამართლებრივი სისტემები.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საპროცესო შეთანხმება ინკვიზიტორული სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმისაგანაც განსხვავდება და ის უკიდურესად ლიბერალური და თითქმის შეუზღუდავია.

განვიხილოთ „საპროცესო შეთანხმების“ ქართული მოდელი და მის მიმართ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „საპროცესო შეთანხმება“ ხორციელდება სასამართლოს დამოუკიდებლობის პროცესის დაცვით და მისი მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის ძალით უშვებს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და ამის საფუძველი „საპროცესო შეთანხმება“, რომელიც ხორციელდება ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებით [13].

რიგი იურისტებისა თვლიან, რომ პროკურორს, როგორც ბრალზე, ასევე სასჯელზე შეთანხმებას ერთიანი უფლებები გააჩნია და ეს ნორმა ორივე შემთხვევაში ერთნაირ შედეგს ადგენს. მათი აზრით, ეს გარემოება ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებებს შორის განსხვავებებს აბსოლუტურად შლის, ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზე შეთანხმებას [1, 168].

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმებას ისეთი საფუძველის არსებობა როგორცაა სასჯელზე შეთანხმება, საჭირო აღარ არის.

ზოგი იურისტი კი თვლის, რომ ბრალზე შეთანხმების დროს კანონი გამორიცხავს სასჯელზე შეთანხმებას და აღნიშნული ამ ინსტიტუტის საფრთხის შემცველი ხარვეზია.

ამის საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველის არსებობა განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებიდან და იგი ამ სახით უნდა იყოს შენარჩუნებული.

მართალია, ბრალზე შეთანხმება ფაქტობრივად გულისხმობს საქმეზე შეთანხმებას (სხვაგვარად იგი აზრს დაკარგავდა), მაგრამ საპროცესო შეთანხმების მეორე საფუძველი არ გულისხმობს ბრალის აღრიცხვასაც. ამ შემთხვევაში ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ შეთანხმება პროკურორის ან სასჯელის ზომაზე ან სასჯელისგან სრულად განთავისუფლებაზე [13]; [10, 54-55].

ასეთ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დადებისას მეტად მნიშვნელოვანია როგორც ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის წახალისება და მისგან მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, ასევე პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობების გაჩენა და ამიტომ საპროცესო შეთანხმების ორი საფუძვლის არსებობა განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებებით და იგი ამ სახით უნდა იყოს შენარჩუნებული.

საპროცესო შეთანხმების ინიციატორები შეიძლება იყვნენ ბრალდებული (განსასჯელი) ან პროკურორი, ასევე აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლო კამათის დაწყებამდე შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების დადება.

აღნიშნული ნორმის ამ სახით ჩამოყალიბება გარკვეულად ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რაზედაც შემდგომში გვექნება საუბარი.

ბრალზე შეთანხმების დროს ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს, ხოლო სასჯელზე შეთანხმებისას იგი არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება პროკურორის ან სასჯელის ზომაზე, ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებაზე, ხოლო სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლეობა.

საპროცესო შეთანხმებისას პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს განსასჯელისათვის სასჯელის შემცირება, ასევე დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) ან ბრალდების შემსუბუქების თაობაზე ან და ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების დადებისას დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით არანაირ შეზღუდვას ითვალისწინებს, პროკურორმა აღნიშნულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე და ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი, რაც ხაზს უსვამს კანონმდებლობის იმპერატიულ ნებას, რათა პროკურორმა წინდახედულობა გამოიჩინოს ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ საჯარო ინტერესებთან მიმართებაში, თუმცა, აღნიშნულ პრობლემას არ ხსნის.

კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება იმისა, თუ რა გარემოებებს უნდა ითვალისწინებდეს პროკურორი შეთანხმების დადებისას, ძალზე ზოგადი ხასიათისაა. არსებობს დანაშაულები, რომლებიც მოითხოვენ სამართალდამცავთა მხრიდან მკაცრ რეაქციას და საზოგადოებაში ჩნდება კითხვა – შეიძლება თუ არა მკვლელს, მოძალადესა და რეციდივისტს გაუფორმონ საპროცესო შეთანხმება? რა თქმა უნდა აღნიშნული გარიგების დადება საფუძველშივე არ ნიშნავს დამნაშავის სასჯელისგან გათავისუფლებას ან უსამართლო სასჯელის დაკისრებას, მაგრამ კანონმდებლობის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხული არაა, რომ პროკურორმა არაადეკვატური სასჯელი მოითხოვოს რომელიმე დამნაშავის მიმართ და ამას

სასამართლოც დაეთანხმოს. აღნიშნულის საფრთხეს აძლიერებს ისიც, რომ დაზარალებული მოკლებულია უნარს, გაასაჩივროს დაჩქარებული პროცესით გამოტანილი განაჩენი. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ხომ არ არის საშიშროება იმისა, რომ რომელიმე ბრალდებული ზედმეტად ლმობიერად ან საერთოდ არ ისჯება?

პასუხი ცალსახაა: რა თქმაუნდა, არის.

აღნიშნული სიტუაციიდან ერთი გამოსავალია, ის, რომ ჩარჩოებში მოექცეს დანაშაულთა კატეგორიები, რომელზედაც შესაძლებელი გახდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ასეთ ხერხს მიმართეს ესპანეთში, იტალიაში, ბელგიაში.

სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმება უნდა დაიდოს ზემდგომ პროკურორთან წინასწარი თანხმობის წერილობით [13].

მას შემდეგ, რაც ბრალდებულისა და ბრალდების მხარეს შორის მოხდება პოზიციების შეთანხმება, პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეთანხმების შინაარსი. შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის დამცველი და ბრალდებული (განსასჯელი).

აღნიშნულ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს ბრალდებულის (განსასჯელის) სახელი, გვარი, დაბადების რიცხვი თვე და წელი, ბრალდების ფორმულირება (ფაბულა) მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა და გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ის, რომ სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ და მსჯელობის გარეშე გაიზიაროს და დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, ვინაიდან მოსამართლე გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმების შესახებ იღებს კანონის საფუძველზე და უფლებამოსილია არ დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს შორის მიღწეული შეთანხმება.

სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ან საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე [13].

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება ზღუდავს შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან შეჯიბრებითობა, პირველ რიგში, გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარის პაექრობას და საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები მონაწილეობას ვერ იღებენ [10, 8].

არსებობს ასევე მოსაზრება თითქოსდა საპროცესო შეთანხმებს დადებისას ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან მიმართებაში პრიორიტეტი ენიჭება, რადგან დაცვის მხარეს არა აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს გამამართლებელი მტკიცებულებები და თითქოს ამით ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმების დადების დროს მიყენებული მატერიალური, ქონებრივი და მორალური ზიანის მიუხედავად შეზღუდულია, დაყვანილია მინიმუმამდე. საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ უნდა ეცნობოს დაზარალებულს, თუმცა მას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გააჩნია.

თავდაპირველად საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი აღნიშნული შეთანხმების დადებისათვის დაზარალებულის თანხმობასაც ითვალისწინებდა, მაგრამ სუბსიდიური ბრალდებით სამართალწარმოებისას, სასამართლოები აწყდებოდნენ სამართლებრივ კაზუსს იმ საქმეზე, სადაც პროკურორმა ბრალდებულთან მიაღწია საპროცესო შეთანხმებას, ხოლო დაზარალებული კვლავ განაგრძობდა ბრალდების მხარდაჭერას და სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დაჩქარებული პროცესიდან დაზარალებულის განდევნა და მისი უფლებების ამგვარი შეზღუდვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმება საქართველოში მისი შემოღების დღიდან სულ უფრო ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ კორუფციული შემთხვევების დროს, არამედ თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულებზე.

საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში 2005–2009 წლებში გვიჩვენებს, რომ 2005 წელს დაიდო 932 საპროცესო შეთანხმება, 2006 წელს –3.791, 2007 წელს–8.432, 2008 წელს –9.207 და 2009 წელს 5.380. საპროცესო შეთანხმება და დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში 68%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – თბილისსა და აჭარაში 28 %.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად გამოიკვეთა საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის პრობლემატიკა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა. აქედან ჩანს, რომ მოსამართლეები, პროკურორები და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სამართლებრივ მექანიზმს დადებითად აფასებენ და შესაბამისად საქართველოში, ისევე როგორც ამერიკაში, აღნიშნული სასამართლო პროცესი უფრო ალტერნატიული პროკურატურის სახეს იღებს, ვიდრე ჩვეულებრივი [14]. იგი არც ისეთი

წარმატებულია, როგორც ამას ხელისუფლება წარმოადგენს და არც ისეთი გამოუსწორებელი, როგორც ოპონენტები ახასიათებენ. ფაქტი ერთია – საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვანი ცვლილებაა, მაგრამ ის სასამართლოების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხისა და სამართალწარმოების არსებითი კულტურის პირობებში სამართლიანობის განმტკიცებას ხელს ვერ უწყობს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბესელია ე. 2005. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტი. *სტატიათა კრებული*. თბილისი.
2. განმარტებითი ბარათი „ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი.
3. ვერკაიკი რ. 2000. *მოსამართლეებს საპროცესო შეთანხმების გამოყენება ეკრძალებათ*. ინდეფენდით.
4. კაციტაძე ნ. 2008. *საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა საქართველოში*. თბილისი.
5. კორკელია ვ. 2004. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში*. თბილისი.
6. ონიანი დ. 2002. საპროცესო გარიგება. *New York Times*.
7. რატიანი ც. 2006. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. *მართლმსაჯულება და კანონი*, № 3.
8. სიმსი ს. 2008. *საპროცესო შეთანხმების ისტორიული და რასობრივი რეალობები*. თბილისი.
9. ხაჩიძე დ. 2004. *საპროცესო შეთანხმება*. თბილისი.
10. ჭანტურიძე გ. 2007. *საპროცესო შეთანხმების მიმართება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან*. თბილისი.
11. ჭანტურიძე გ. 2006. *საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში*. თბილისი.
12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2010. თბილისი.
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2010. თბილისი.
14. საქ. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები.

*Aleksandre Javakhishvili*  
*Grigol Robakidze University*

One of the first acts of Mikheil Saakashvili's government was to introduce plea bargaining into Georgia's legal system. Plea bargain is, quite simply, "an agreement between a prosecutor and a defendant whereby if the accused admits his/her guilt, he/she will be charged with a less serious crime or will receive a less severe punishment". The principle is simple: the accused is recompensed in return for admitting his/her guilt and refusing his/her right to a fair trial and therefore saves all parties from a long and expensive trial.

Georgia is almost unique among countries operating according to the inquisitorial model, in that it has instituted a much more liberalized – indeed almost unlimited – form of plea bargaining than is common in other such systems.

This report aims to analyze the effects of plea bargaining in Georgia and determine what implication its use has had on the right to a fair trial.

The Georgian legal system, like most in continental Europe, is based on the inquisitorial system. This means that the role of the judge is that of an investigator rather than, as is the case in adversarial systems such as the US, an arbiter. The judge hears the evidence from both – the prosecution and the defense and declares both the verdict (guilt or innocence) and the sentence.

The process itself is simple and is codified in the article 679 of the Georgian Criminal Procedural Code. In theory, either the prosecutor or the defendant can start negotiations which must be attended by the accused person's attorney. A plea bargain can be concluded on the charge or on the sentence. The sole difference between these two variants is that in the latter case the defendant pleads *nole contendere*<sup>1</sup> whereas in the former case he/she pleads guilty. This is not a significant difference as in both cases the defendant, once convicted, is left with a criminal record.

The judge must confirm that the plea bargain was reached voluntarily without the use of threats, deception or violence and that the defendant was properly assisted by a qualified attorney. The judge must also ascertain that the defendant and his lawyer are familiar with the plea bargain agreement and are aware of the repercussions (such as the refusing the right to appeal) of going through with the bargain.

Based on the fact that Georgia was until a few years ago one of the most corrupt states in the world, it would be natural to assume that the most obvious argument for introducing plea bargaining is its utility in the fight against corruption. Indeed, plea bargaining was originally seen primarily as a tool in the post-Rose Revolution anti corruption campaign. The idea is that plea bargaining provides the means for the state to recoup funds lost to corruption. Corrupt officials are allowed to walk freely, provided they compensate the state for the funds they embezzled.

The practice of allowing defendants to walk away without a criminal record was abolished in 2005 in the face of both domestic and international criticism. A prominent opposition politician went as far as to call this practice "legalized state racketeering" and a report by the Council of Europe said that the 2004 version of plea bargaining on the one hand allows some alleged offenders to use the proceeds of their crimes to buy their way out of prison and, on the other, risks being applied arbitrarily, abusively and even for political reasons.

Nevertheless, placing the broader morality of the practice to one side, plea bargaining was successful in the short term as the means of recouping revenue lost to corruption.

---

<sup>1</sup> Meaning that the defendant does not contest the charges and accepts the sentence but does not plead guilty.

It should be noted that during the plea bargaining a victim's role is minimum, binding in point of view for material, property and moral damage. A victim must be informed about the plea bargaining, but a victim does not have the right to appeal the mentioned decision.

At first the Georgian model of plea bargaining for making the mentioned agreement considered also a victim's consent, but during the criminal proceeding with subsidiary charge, the courts encountered with the legal special case, where the procurator reached the plea bargaining with the accused, but the victim still continued to support the accusation. Namely this fact conditioned the victim's withdrawal from the hastened process and such restriction of his/her rights.

It should be noted, that plea bargaining in Georgia since its introduction is more often used not only during the corruption case, but in all kind of criminal cases.

Statistics of using plea bargaining in Georgia in 2005-2009 shows that in 2005 were observed 932 cases of plea bargaining, in 2006 - 3.791, in 2007-8.432, in 2008-9.207 and on 2009 5.380. The highest percent of plea bargaining and of closed cases was fixed in Regional Procurator's Office of West Georgia; it was 68%, but the lowest rates were in Tbilisi and Adzharia - 28%.

Thus, from the above mentioned was clearly shown the problem of the Georgian model of plea bargaining and validity or groundlessness of its criticism. It is obvious that judges, prosecutors and representatives of government are estimating this legal mechanism positively. Consequently, in Georgia, as in America the mentioned suit gets the form of alternative prosecution rather than ordinary. It is not as successful as the government is presenting it and is not as incorrigible as the opponents are characterizing. The fact is one – plea bargaining is the significant change.